



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 97

22/12/2017

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის დ.დ) ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 დეკემბრის N45/8333-ე წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს მასზედ, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, სოფელ ზედა საზანოში მდებარე 1300.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N33.18.45.310), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 30 წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასცეს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 1 დეკემბრის N46/90 განკარგულება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო